საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 54

20 12 წ. "28" 02.

ქ. თბილისი

შპს - ორიენტირისთვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ორიენტირს უარი ეთქვას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდაზე.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 23 თებერვლის №6 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
გაიანე სიმონია